დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოანე ბოლნელის სახელობის სკოლა“

შეფასების თარიღ(ებ)ი : 14 და 15 დეკემბერი 2022

დასკვნის წარდგენის თარიღი : 10 იანვარი 2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	„საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოანე ბოლნელის სახელობის სკოლა“
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	225398272

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	**კი**
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	**კი**
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	**კი**
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	**არა**
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	**არა**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ბოლნისი
იურიდიული მისამართი	ბოლნისი, პეტრე-იბერის N3

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ფაქტობრივი მისამართი	ბოლნისი, პეტრე-იბერის N3
საფოსტო ინდექსი	1100
დაწესებულების ვებ-გვერდი	ioanebolneli.edu.ge
დაწესებულების ელ-ფოსტა	ioanebolneli@gmail.com
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	358222780
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	ნინა დევნოზაშვილი
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	551193010
ელ-ფოსტა	nina.devnozasvili@tpdc.ge

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 10/11/2022 MES 1 22 0001436396 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	14,15 დეკემბერი, 2022 წელი
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ლელა ფიცხელაური
წევრი (სახელი, გვარი)	იზაბელა იოსელიანი

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი	ავტორიზაციის დებულების	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		შესაბამისი მუხლი / პუნქტი		
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებკონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☒	☐
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს			
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი		*ხარვეზი არ დაფიქსირებულა*
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი		*ხარვეზი არ დაფიქსირებულა*
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი		*ხარვეზი არ დაფიქსირებულა*

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	1.1	სკოლამ მოსწავლეებს მისცეს მეორე უცხოური ენის არჩევის საშუალება. ესგ-ის მუხლი 48-შესაბამისად ,, სკოლამ მინიმუმ ორი უცხოური ენა უნდა შესთავაზოს მოსწავლეებს ასარჩევად“.
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტი	2.6	სკოლამ ლაბორატორიაში ცდების ჩატარებისთვის განკუთვნილი მაგიდის ზედაპირი შეარჩიოს ისე, რომ იყოს წყალგაუმტარი და სადეზინფექციო საშუალებების, მჟავების, ტუტეების, ორგანული გამხსნელების და ზომიერად გაცხელების მიმართ მდგრადი.
	2.3	შეიძინოს და ბიბლიოთეკაში განათავსოს მე-9, მე-10 კლასების გრიფირებული სახელმძღვანელოების მინიმუმ 1 ეგზემპლარი ყველა კლასისა და საგნისათვის; წიგნები დაამოწმოს და დაამუშავოს საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	3.4	სკოლამ შრომითი ხელშეკრულების დადებისა და შეწყვეტის დროს ისარგებლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	არაფორმალური განათლების ხელშეწყობა.

დაწესებულების მისია	აღზარდოს მართმადიდებელი, დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი მომავალი თაობა. ჩვენ ვზრდით განათლებულ მომავალს!

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

VIII. **წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	*წინა ვიზიტის პერიოდში 2017 წელს სკოლას რეკომენდაციები არ მიუღია.*

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 270	**ექსპერტი ეთანხმება** ☐	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☒	ექსპერტთა შეფასებით, სკოლაში არსებული საკლასო ოთახების რაოდენობა და ფართი , ასევე სასწავლო ინვენტარის რაოდენობა იძლევა საშუალებას მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს **250**-ით .

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა განხილულია ააიპ „საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოანე ბოლნელის სახელობის სკოლის „პედაგოგიურ საბჭოს 2022 წლის 7 სექტემბრის №1 ოქმით და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მ.შ.-მიერ. სკოლაში საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე, ზოგადი განათლების დაწყებით (I-VI კლასები), საბაზო (VII-IX კლასები) და საშუალო (X-XII კლასები) საფეხურზე. სასკოლო სასწავლო გეგმა განსაზღვრავს: სკოლის მისიას; აზუსტებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ აუცილებელ საათობრივ დატვირთვას; განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას და/ან ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას; აგრეთვე სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო ღონისძიებებს. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, განვლილი სასწავლო წლის შედეგების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. სსგ-ის ნაწილებია: სკოლის მისია; ამოცანები ზოგადი განათლების საფეხურებზე; ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები; სასწავლო წლის კალენდარი; დღის რეჟიმი; გამოცდის ტიპები; სასკოლო საათობრივი ბადე; გაკვეთილების განრიგი; შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა; საგნობრივი კათედრები; სადამრიგებლო პროგრამა; მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სასწავლო მასალა; დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება; ინკლუზიური განათლება; შინ სწავლება; სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია სასკოლო საათობრივი ბადე, რომელიც განსაზღვრავს საგნის/საგნების საათების რაოდენობას; მოიცავს თითოეული კლასის ყოველდღიური გაკვეთილების განრიგს, რომელიც აზუსტებს კვირის რომელ დღეს, რა თანამიმდევრობით და დროის რა მონაკვეთში რომელი საგანი ისწავლება. სკოლის სასწავლო კალენდარი, მათ შორის არდადეგები და ოფიციალური დასვენების დღეები სრულად ითვალისწინებს კანონით დადგენილ ნორმებს. სასწავლო კვირა ხუთდღიანია. სკოლაში სასწავლო პროცესი იწყება 09:30 საათზე . I კლასში გაკვეთილების ხანგრძლივობაა 35 წუთი, II კლასში 40 წუთი, ხოლო III-XII კლასში 45 წუთი. გაკვეთილებს შორის შესვენება 5 წუთიანია, მეოთხე და მეხუთე გაკვეთილებს შორის დიდი შესვენების ხანგრძლივობა შეადგენს 15 წუთს. სკოლის მიერ წარმოდგენილი საათობრივი ბადის მიხედვით სამივე საფეხურის კლასებში ისწავლება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა საგანი. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მეორე უცხოურ ენად სურვილი აქვთ მოსწავლეებს შესთავაზონ გერმანული და რუსული ენები , მაგრამ გერმანული ენის პედაგოგიური კადრის არარსებობის გამო (სკოლას გამოცხადებული აქვს ვაკანსია) ისწავლება მხოლოდ რუსული ენა. სკოლას სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით მიეცა რეკომენდაცია : მოსწავლეებს მიეცეს მეორე უცხოური ენის არჩევის საშუალება ესგ-ის მუხლი 48- შესაბამისად ,, სკოლამ მინიმუმ ორი უცხოური ენა უნდა შესთავაზოს მოსწავლეებს ასარჩევად“. არჩევითი საგნებად განსაზღვრულია: მეწარმეობა -X კლასი; გარემო და მდგრადი განვითარება (II მოდული)- XI კლასი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გარემო და მდგრადი განვითარება- XII კლასი. დამატებითი სავალდებულო საგანმანათლებლო მომსახურება შეთავაზებულია სამივე საფეხურზე: საღვთო სჯული (I-VI კლასი, კვირეული 2 სთ; მე-VII-XII კლასში- 1 სთ); ძველი ქართული დამწერლობა (V-VI კლასი, კვირეული 1 სთ.). სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სპორტის სახეობად საშუალო საფეხურზე სკოლას არჩეული აქვს ფეხბურთი, კალათბურთი და მაგიდის ჩოგბურთი. სკოლა ორიენტირებულია მართმადიდებელი რელიგიის გაძლიერებით სწავლებაზე, რისთვისაც სწავლებას ახორციელებს როგორც გრიფირებული , ასევე საპატრიარქოს მიერ შემოთავაზებული სახელმძღვანელოებითა და სასწავლო პროგრამებით. სწავლა იწყება ლოცვით. ღონისძიებები, კონკურსები და შეჯიბრებები, დამატებითი მეცადინეობები ტარდება გაკვეთილების შემდეგ ან შაბათ-კვირას. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებით სავალდებულო საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება. კერძოდ: ეროვნული სასწავლო გეგმის 22-ე მუხლის შესაბამისად, სკოლას ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებად მოსწავლეებისთვის 1-12 კლასებში სავალდებულო სახით გათვალისწინებული აქვს საგნის: საღვთო სჯულისა და ძველი ქართულის სწავლება. საგანი საღვთო სჯულის სწავლების მიზანია: მოსწავლეების ქრისტიანული მრწამსით აღზრდა. მიზნის მისაღწევად მოსწავლეები პირველი კლასიდანვე ეცნობიან ქრისტიანობის საფუძვლებს, მართლმადიდებლური ეკლესიის კატეხიზმოს, წმიდა მამათა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სწავლებებს, წმინდანთა ცხოვრებას, ძველი და ახალი აღთქმის ისტორიას, ღვთისმსახურების საფუძვლებს, საქ. სამოციქულო ეკლესიის ისტორიასა და რელიგიათმცოდნეობის საფუძვლებს. სასწავლო კურსის სწავლებისას გამოიყენება შემდეგი სახელმძღვანელოები: I –III კლ. – კატეხიზმო ყრმათათვის; წმ. მამათა სწავლებანი ყრმათათვის; IV კლ. _ წმინდანთა ცხოვრება; V კლ. _ ძვ. აღთქმის საღვთო ისტორია; VI – VII კლ. _ ახალი აღთქმა; VIII კლ. _ კატეხიზმო; IX კლ. _ ღვთისმსახურების საფუძვლები; X –XI კლ. _ საქ. სამოციქულო ეკლესიის ისტორია; XII კლ. _ რელიგიათმცოდნეობის საფუძვლები. ძველი ქართულის სასწავლო კურსის დასასრულს მოსწავლეებს მოეთხოვებათ ასომთავრული და ნუსხური დამწერლობის ცოდნა (როგორც წერით, ასევე კითხვით); ასოების შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობების და ქარაგმების ცოდნა; სხვადასხვა საეკლესიო მსახურების ტიპიკონის ცოდნა; საეკლესიო ტექსტების გამართული კითხვა. სასწავლო კურსის სწავლებისას გამოიყენება შემდეგი სახელმძღვანელოები: V კლასი - ძველი ქართული ენა (ასომთავრული დამწერლობა); VI კლასი - ძველი ქართული ენა (ნუსხური დამწერლობა). სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია საგნობრივი კათედრების მიერ შერჩეული სასწავლო მასალის (დამხმარე ლიტერატურის, სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსის) ჩამონათვალი საფეხურებისა და საგნების შესაბამისად, მათ შორის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით. სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესებს, რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის, შეფასების კრიტერიუმებს და ა.შ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა, რომლის მიხედვითაც დამრიგებლებს შედგენილი აქვთ ინდივიდუალური პროგრამა. სკოლაში ერთ სივრცეში მშვიდობიანად თანაარსებობენ განსხვავებული ეროვნებისა და აღმსარებლობის მოსწავლეები, უზრუნველყოფილია ტოლერანტული გარემო. **სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმით შესაძლებელი იქნება სკოლის მისიის მიღწევა და სასწავლო პროცესის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად წარმართვა.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო-სასწავლო გეგმა; • ელექტრონული ჟურნალი -სქულბუქი; • სასწავლო პროგრამები/სილაბუსები; • პედსაბჭოს ოქმები; • ინტერვიუირება;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში ფუნქციონირებს 6 კათედრა, რომელშიც გაერთიანებულია საგნობრივ ჯგუფის ყველა მასწავლებელი. დამატებითი სავალდებულო საგნის, საღვთო სჯულის მასწავლებლები გაერთიანებული არიან საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაში. ძველი ქართული ენის მასწავლებელი გაერთიანებულია ქართული ენისა და ლიტერატურის და უცხო ენის კათედრასთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი იყო თემატურ/კალენდარული გეგმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	და სილაბუსები/მატრიცები საგნებისა და საფეხურების მიხედვით, სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო გეგმები და ჩატარებული სამუშაოს ანგარიშები. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სხვადასხვა საფეხურის კლასებისათვის საათობრივი დატვირთვა. განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა და გაცდენილი შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი. კეთდება შემაჯამებელი დავალებების ანალიზები , რაც პრობლემის იდენტიფიცირებისა და მისი გადაჭრის საშუალებას იძლევა. მასწავლებლებისა და კათედრის პორტფოლიოებში მოთავსებულია თემატური გეგმები, განხორციელებული კომპლექსური დავალებები, შემაჯამებელი სამუშაოების ამსახველი მასალები, განხორციელებული სასწავლო პროექტები. მოცემული დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლაში დაწყებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესები. სკოლაში პრიორიტეტულია საერთო კულტურის ჩამოყალიბებისათვის ზრუნვა, ამიტომ სასკოლო საზოგადოების ძირითად პრიორიტეტებად 2022-2023 სასწავლო წელს განსაზღვრული აქვს სამი მიმართულება: ➢ ჯანსაღი ცხოვრების წესი; ➢ კულტურული მემკვიდრეობა; ➢ ადამიანის უფლებები. სასკოლო პროექტებში ჩართულია მთელი სასკოლო საზოგადოება და თემი. სასკოლო გეგმის თანახმად, ძირითადი საგნების შესწავლასთან ერთად, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების მიღება, მოსწავლეების განვითარება კულტურული, სპორტული და სხვა მიმართულებით. ადგილზე ვიზიტის დროს სკოლამ წარმოგვიდგინა ხელსაქმის წრისა და პროექტების ფარგლებში მოსწავლეთა ნამუშევრები. ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი. სასწავლო წლის ბოლოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დამრიგებლების მიერ კეთდება სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის აკადემიური მიღწევის, გაკვეთილებზე დასწრებისა და ქცევის ანალიზი და თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება. მოსწავლეებს ელექტრონული ჟურნალის საშუალებით მიეწოდებათ , როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასებები. დამრიგებელი ადგენს სამოქმედო გეგმას, დაფუძნებულს კლასის საჭიროებებზე. სსგ-ის თანახმად დამრიგებლის მუშაობის მიზანია: მოსწავლის აღზრდა ქრისტიანულ პრინციპებზე დაყრდნობით, მოსწავლეებს დახმარება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში, პიროვნული, ზნეობრივი, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებაში. დამრიგებელი ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, უნდა უვითარებდეს მათ დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარებოდეს მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გააზრებაში. დამრიგებელს ევალება უზრუნველყოს მოსწავლეთა ქრისტიანული აღზრდა და მათი წაყვანა წირვა-ლოცვაზე. სკოლაში ფუნქციონირებს გახანგრძლივებული ჯგუფი. გახანგრძლივებული ჯგუფის მასწავლებლის მოვალეობაა შესაბამისი კლასების მოსწავლეებისთვის კონკრეტული საგნის მასწავლებლის მითითებებით, შესაბამისი პროგრამის ფარგლებში მომავალი დღის გაკვეთილების მომზადებაში დახმარება. ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე სკოლა 2020 წლიდან სიტუაციის შესაბამისად იყენებდა როგორც დასწრებით, ისე დისტანციურ და ჰიბრიდული სწავლების ფორმებს, სქულბუქის პლატფორმასა და ელ. ჟურნალს. ვიზიტის პერიოდში დაკვირვებებით, ასევე მოსწავლეებთან, მოსწავლეთა მშობლებთან და პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მოსწავლეებმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შეფერხების გარეშე მიიღეს სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა. საკლასო ოთახებში განთავსებულია მოსწავლეთა ნამუშევრები, პოსტერები, ნახატები, ნაკეთობები, რაც ადასტურებს, რომ მოსწავლეები ჩართულნი არიან სასწავლო პროცესში, სხვადასხვა სასწავლო პროექტში. სკოლა ამაყობს ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი მოსწავლეების, ასევე ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებსა და ეროვნულ გამოცდებში გრანტირებული მოსწავლეების შედეგებით. სკოლის მიზანია, ცოდნასთან ერთად მოსწავლემ გამოიმუშაოს ის უნარ-ჩვევები, რაც აუცილებელია ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად; სკოლას ჰყავს მოძღვრები, რომლებიც ზრუნავენ მოსწავლეთა და მასწავლებელთა სულიერ მხარეზე, რჩევა–დარიგებებს აწვდიან მათ. **სასკოლო საათობრივი ბადის შემადგენელი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული და ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისიწინებელი სავალდებულო საგნების სწავლების მიზნებით, შინაარსით, სხვადასხვა სასკოლო აქტივობებით შესაძლებელი იქნება მოსწავლეებმა შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საგნობრივი კათედრების პორტფოლიოები; • სასკოლო სასწავლო გეგმა და მისი შემადგენელი ნაწილები; • სააღმზრდელო პროგრამა და მისი შემადგენელი ნაწილები; • მასწავლებლების სილაბუსები, მატრიცები, თემატურ-კალენდარული გეგმები; • კათედრის ზოგადი დებულება; • კათედრების სხდომათა ოქმები და სემესტრული ანგარიშები; • სადამრიგებლო მუშაობის ანგარიშები; • პედსაბჭოს სხდომის ოქმები; • კომპლექსური დავალებების ნიმუშები და რეფლექსია; • ინტერვიუები სასკოლო საზოგადოებასთან.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში მასწავლებლები და კლასის დამრიგებლები ცდილობენ თითოეულ მოსწავლეს შეუქმნან თვითრეალიზაციის შესაძლებლობა. სკოლაში მოსწავლეების ინტერესების მიხედვით შექმნილია კლუბები: ეკო-კლუბი –"დედამიწის ქომაგები"; ინგლისური ენის კლუბი; მკითხველთა კლუბი; მწვანე ბიზნეს კლუბი; სამოქალაქო განათლების კლუბი-,,ცვლილებების პიკი"; ქართული გალობის წრე; ქართული ხალხური სიმღერების შემსწავლელი წრე; ქორეოგრაფიის წრე. სკოლაში ხშირად ეწყობა ვიქტორინები, ღონისძიებები, ექსკურსია/ლაშქრობები; ცნობილ ადამიანებთან, საზოგადო მოღვაწეებთან და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან თუ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრები. მოსწავლეები, ინტერვიუს პროცესში აღნიშნავდნენ, რომ სკოლაში არიან რეალიზებულნი, მასწავლებლები სთავაზობენ მათ საინტერესო და სახალისო აქტივობებს, რაც ხელს უწყობს ნებისმიერი მოსწავლის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. სკოლაში ამ ეტაპზე სწავლობს ორი სსსმ მოსწავლე. სკოლას ემსახურება სპეციალური მასწავლებელი, შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან სასწავლო და სააღმზრდელო მიდგომები და წესები. ექსპერტები გავეცანით ინდივიდუალურ გეგმებს საგნების მიხედვით, მონიტორინგის შედეგებს, მოსწავლეთა ნამუშევრებს, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის (ისგ) სხდომის ოქმებს. გავესაუბრეთ სპეც. მასწავლებელსა დ ისგ ჯგუფის კოორდინატორს. მათი განცხადებით, ჯგუფის წევრები აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეთა ინდივიდუალური გეგმის დაძლევის პროცესში. ისგ ჯგუფის მიერ მკაცრად კონტროლდება სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესი. ისგ ჯგუფის სხდომებზე პერიოდულად განიხილებოდა სსსმ მოსწავლის სწავლის პროცესში წარმოქმნილი სირთულეები და მისი დაძლევის გზები. **წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ჩატარებული გასაუბრებების მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და გახორციელებული სასწავლო პროცესით იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ინკლუზიური სასწავლო გეგმა; • გაკვეთილის გეგმები; • ინტერვიუები სასკოლო საზოგადოებასთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• შესრულებული ნამუშევრების ვიზუალური დათვალიერება; • სკოლის ვებ-გვერდი -https://ioanebolneli.edu.ge/course
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. მასწავლებლები აფასებენ მოსწავლეების მიერ სტანდარტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, როგორც საკლასო და საშინაო, ისე შემაჯამებელი დავალებით. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულია სემესტრული, ექსტერნი და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესი; აკადემიური მიღწევის შეფასების წესები შეესაბამება ესგ-ს ძირითად პრინციპებს. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები; სკოლა იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი ტიპის შეფასებებს. განმავითარებელი შეფასების მიზანია სწავლის ხარისხის გაუმჯობესება, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების მიზანია მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. შეფასება დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე ესგ-ით გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისია. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით. დამატებითი საგნები: „საღვთო სჯული“, ძვ. ქართული ენა მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა. საგნობრივ კათედრებს შემუშავებული აქვთ შეფასების სქემები: დისკუსიის, პრეზენტაციის, პროექტის, რეფერატის, სხვადასხვა წერითი სამუშაოს და სხვა. შეფასების ზოგადი სქემები ინახება კათედრის საქაღალდეებში, ასევე გამოკრულია საკლასო ოთახებში. განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა თითოეულ საგანში; გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის ვადები და ჩატარების ფორმები; სსგ-ით განსაზღვრულია: თუკი მასწავლებელი ერთზე მეტ კლასს ასწავლის, მან კომპლექსური დავალება უნდა განახორციელოს ყველა კლასთან სემესტრში ერთი. საგნის მასწავლებლები აცნობენ კლასს სტანდარტის მოთხოვნებს, მინიმალურ ქულას, სხვადასხვა აქტივობისა და შემაჯამებელი წერის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შეფასების კრიტერიუმებს. შეფასების სქემების ზოგადი კრიტერიუმები გამოკრულია საკლასო ოთახებში თვალსაჩინო ადგილებზე. გაკვეთილებზე მოსწავლეთა გაცდენები აღირიცხება ელექტრონულ ჟურნალში. საგნის მასწავლებელი პასუხისმგებელია მოსწავლეთა ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე. სსგ-ის მიხედვით მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება, გაცდენის შემთხვევაში მოსწავლეს ენიშნება აღდგენითი შემაჯამებელი დავალება, რომელიც შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალური ან ჯგუფური გრაფიკის მიხედვით.მოსწავლის მიერ შემაჯამებელი დავალების აღდგენა მოხდება სემესტრის დასრულებამდე ან მობილობის შემთხვევაში, სკოლის მიერ ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემამდე. მოსწავლის მიერ სხვადასხვა მიზეზით გაცდენილი მასალის აღსადგენად და დახმარების მიზნით, მშობელთან შეთანხმებით, დგება დამატებითი გაკვეთილების ჩატარების განრიგი. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემის გაცნობით, სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით, სტანდარტის შესაბამისი **წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით, დგინდება რომ სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საგნობრივი კათედრების პორტფოლიოები და შეფასების რუბრიკები; • კათედრის სხდომის ოქმები; • სასკოლო სასწავლო გეგმა; • ინტერვიუები სასკოლო საზოგადოებასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლასა და მშობელს შორის ურთიერთობა რეგულირდება შინაგანაწესითა და ხელშეკრულებით. სკოლა ქმნის პირობებს იმისათვის, რომ მშობელმა ითანამშრომლოს დირექციასთან, მასწავლებლებსა და სხვა დასაქმებულ პირებთან, რაც უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციის დროულად მიწოდებას. სკოლაში ნებისმიერ საკითხზე დირექციასთან ვიზიტი დასაშვებია ყოველდღე (ორშაბათი-პარასკევი) 15:00 საათიდან 17:00 საათამდე. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი. მშობელს ეძლევა შესაძლებლობა გაეცნოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ამომწურავ ინფორმაციას (აკადემიური მოსწრება, დისციპლინა და სხვა). კლასის დამრიგებლისგან და/ან მასწავლებლებისგან მიიღოს ინფორმაცია ინდივიდუალური შეხვედრებით, სატელეფონო და სოციალური ქსელების საშუალებით შვილის აკადემიური მოსწრების, წარმატებების ან საჭიროების შესახებ. კლასის დამრიგებლები ატარებენ მშობლებთან შეხვედრებს. სადაც მშობლებს აცნობენ შინაგანაწესს, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას, ასევე, აწვდიან ინფორმაციას დამატებითი და ინდივიდუალური გაკვეთილებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომელთა განხორციელებაც იგეგმება სასწავლო წლის განმავლობაში. გარდა ამისა, იმართება დამრიგებლისა და უშუალოდ საგნის პედაგოგების შეხვედრები მშობლებთან და სკოლის მშობელთა საერთო კრება/შეხვედრა დირექციასთან და მოძღვრებთან, უშუალოდ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ თუ სხვადასხვა საკითხზე. სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს -School Book, მშობლებთან გასაუბრებისას ისინი აღნიშნავდნენ, რომ ჩართულნი არიან სასკოლო ცხოვრებაში. ელექტრონული ჟურნალის გარდა, ისინი აქტიურად სარგებლობენ სკოლის გვერდითა და სოციალური ქსელით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დამრიგებლის მოვალეობაში გაწერილია კავშირი სადამრიგებლო კლასის მშობლებთან, მოსწავლის გაცდენა/დაგვიანების ,აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინურ გადაცდომებზე ინფორმირების მიზნით. **მშობლებთან, პედაგოგებთან და დირექციასთან ინტერვიურების შედეგად ჩანს რომ მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობით.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • ელექტრონული ჟურნალი- School Book; • ინტერვიუები სასკოლო საზოგადოებასთან; • სკოლის ვებგვერდი.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	კათედრების სხდომის ოქმებში, დამრიგებლებისა და ადმინისტრაციის ანგარიშებში ასახულია თუ როგორ მუშაობს სკოლა სწავლებისას პრობლემების გადაჭრაზე, მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებაზე. სკოლას შემუშავებული აქვს სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი, რომელიც განხილულია ააიპ „საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოანე ბოლნელის სახელობის სკოლის „პედაგოგიურ საბჭოს 2022 წლის 7 სექტემბრის №1 ოქმით და დამტკიცებულია დირექტორის მ.შ. -მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დოკუმენტის შესაბამისად სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესის ერთი ციკლი შედგება ოთხი ეტაპისაგან: **1. დაგეგმვა** სკოლის დირექტორი, ხარისხის მართვის სამსახური, კათედრის ხელმძღვანელებთან ერთად, სკოლის მისიის შესაბამისად, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის და ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით ადგენენ სასწავლო პროცესის საფეხურების შესაბამის ამოცანებს, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილებს და მისიის მიღწევის ძირითად საშუალებებს. სკოლის ფართის, საკლასო ოთახების ფართის, საფეხურების და კლასების შესაბამისად ასათვისებელი პროგრამის, მატერიალური რესურსის, ადამიანური და ფინანსური რესურსის გათვალისწინებით, სკოლის დირექტორი, ხარისხის მართვის სამსახური, ბუღალტერი და კათედრის ხელმძღვანელები, ადგენენ კლასში მოსწავლეთა მაქსიმალურ რაოდენობას და ზოგიერთ საგანში განსაზღვრავენ კლასების გაყოფის საჭიროებას. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და საქართველოს განათლებისა, მეცნიერების მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანებების შესაბამისად, სკოლის დირექტორი შეიმუშავებს სასწავლო წლის კალენდარს. სადაც დეტალურად არის მითითებული სასწავლო წლის დაწყებისა და დასრულების თარიღები, უქმე და დასვენების დღეები, სასწავლო დღეებისა და კვირების რაოდენობა, სემესტრების დაწყებისა და დასრულების თარიღები. კათედრების ხელმძღვანელები და ხარისხის მართვის სამსახური, სკოლის დირექტორთან ერთად შეიმუშავებენ სასკოლო საათობრივ ბადეს, რომელიც მოიცავს თითოეული კლასის გაკვეთილების განრიგს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	რომელიც აზუსტებს, კვირის რომელ დღეს, დროის რა მონაკვეთში რომელი საგანი ისწავლება, შესაბამისი პედაგოგის მითითებით, სადაც, ასევე აღნიშნულია სავალდებულო და არჩევითი საგნები. კათედრების ხელმძღვანელები, ხარისხის მართვის სამსახური, და დირექტორი, განსაზღვრავენ საგანმანათლებლო რესურსებს კლასების შესაბამისად მათ შორის გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს და დამხმარე ლიტერატურას. სკოლა შეიმუშავებს ინკლუზიური განათლების კონცეფციას და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩოს. რაზე დაყრდნობითაც სსსმ მოსწავლის მასწავლებლები, კლასის დამრიგებელთან, სკოლის ექთანთან და მშობელთან ერთად, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. სკოლა, მოსწავლეების ინტერესების და სკოლის პრიორიტეტების შესაბამისად, შეიმუშავებს დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალს და შესაბამისი მომსახურების პროგრამებს, რომლებიც შეთავაზებული იქნება მოსწავლეებისთვის წრეების ან/და საგნების სახით. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად სკოლა შეიმუშავებს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის შეფასების, შეფასების შედეგების ანალიზის პრინციპებს, მოსწავლეთა არსებული შედეგების გაუმჯობესებისა და მათი აკადემიური მიღწევის აღიარების მექანიზმებს. სკოლა შეიმუშავებს სადამრიგებლო პროგრამის კონცეფციას, რომლის საფუძველზეც თითოეული კლასის დამრიგებელი ქმნის დაზუსტებულ სადამრიგებლო პროგრამას. **2. განხორციელება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის დირექტორი, ხარისხის მართვის სამსახური, მასწავლებლები, საგნობრივი კათედრები, დამრიგებლები, სასკოლო წრეების ხელმძღვანელები და სკოლის სხვა თანამშრომლები სასკოლო სასწავლო გეგმის ცალკეული ნაწილების მიხედვით ახორციელებენ სასწავლო პროცესს სკოლის დებულების და შინაგანაწესის შესაბამისად. **3. მონიტორინგი და შეფასება** სკოლის დირექტორი ახორციელებს, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და ეროვნული სასწავლო გეგმის, დოკუმენტებში შესული ცვლილებების შესწავლას და მათი გავლენის შეფასებას სასკოლო სასწავლო გეგმაზე; მონიტორინგის ნაწილია მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა გამოკითხვა, მოსწავლეთა მიღწევების შეფასება, წლის განმავლობაში დაკვირვება, გაკვეთილებზე დასწრება და საგაკვეთილო დროის და შესვენების დროის ოპტიმალურობის შეფასება კლასების მიხედვით. მოსწავლეთა და მასწავლებელთა ანკეტირება (გამოკითხვა) მოსწავლეთა მიღწევების შეფასება, თითოეულ საგანში საათების რაოდენობის ოპტიმალურობის დადგენა, ეროვნულ სასწავლო გეგმაში შესული ცვლილებების შესწავლა, მასწავლებლებზე განაწილებული საათების ეფექტურობის დადგენა; გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხის დადგენა, კათედრების ხელმძღვანელების გამოკითხვა და საჭირო საგანმანათლებლო რესურსის დადგენა კლასების და საგნების შესაბამისად. დამრიგებლებისა და მასწავლებლების მიერ, სსსმ მოსწავლის მიღწევების შეფასება, მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის ინტერვიუირება ანკეტირება ისგ-ს გაუმჯობესების მიზნით; ეროვნულ სასწავლო გეგმაში განხორციელებული ცვლილებების შესწავლა, მოსწავლეთა შეფასების ფორმების მონიტორინგი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოსწავლეთა და მშობელთა ანკეტირება, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის საშუალებების ეფექტურობის შესწავლა და აღნიშნული მიმართულებით მათი ინტერესების კვლევა; სადამრიგებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგი, მოსწავლეთა ქცევაზე და მიღწევებზე დაკვირვება და შეფასება. მონიტორინგის და შეფასების ციკლს განახორციელებს ხარისხის მართვის სამსახური, შემდეგი აქტივობებით: კითხვარები მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის, მასწავლებლებისთვის. თვითშეფასების კითხვარები მასწავლებლებისთვის. საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება. მიღებული შედეგების შეჯამება და შესაბამისი ანგარიშის მომზადება. მოსწავლეთა მიღწევებზე დაკვირვება, კონკურსებში და ოლიმპიადებზე მონაწილეობა და მიღწეული შედეგების ანალიზი. სასკოლო აქტივობებში მონაწილეობაზე დაკვირვება. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღწეული შედეგები. შემაჯამებელ სამუშაოების შესწავლა. **4. ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება** ხარისხის მართვის სამსახური, მონიტორინგის და შეფასების ანალიზის საფუძველზე, კათედრის ხელმძღვანელებთან და დამრიგებლებთან ერთად შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებით დაიგეგმება სასკოლო სასწავლო გეგმის მეორე სემესტრის შესაბამისი ნაწილი ან/და მომავალი წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდებიდან გამოყენებულია SWOT ანალიზი, მონაცემთა ორგანიზების შემდეგ პრობლემების იდენტიფიცირებაზე ორიენტირებული ჯგუფი გამოკვეთს იმ საკითხებს, სადაც არასასურველი შედეგი დაფიქსირდება და იწყებს დამდგარი შედეგის გამომწვევ მიზეზებზე ფიქრს. ექსპერტების მიერ გადამოწმდა კათედრების სხდომის ოქმები, დამრიგებლებისა და ადმინისტრაციის ანგარიშები, ჩატარებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გამოკითხვების/კვლევების ანალიზები, გამოკვეთილ საჭიროებებზე რეაგირების შედეგები. **შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი .**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სტრუქტურული ერთეულების ანგარიშები; • სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი; • სკოლის SWOT ანალიზი; • ინტერვიუები სასკოლო საზოგადოებასთან.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ **სტანდარტი დარღვეულია**

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: 3329.00 კვ.მ;	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა მდებარეობს ბოლნისის მუნიციპალიტეტში, პეტრე-იბერის N 3. სკოლა განთავსებულია შენობა-ნაგებობაში, რომლის საერთო ფართი შეადგენს 621.8 კვ.მ (მ.შ. I სართულის ფართი- 278.3 კვ.მ. II სართულის ფართი- 286.3 კვ.მ. მანსარდის ფართი 57.2 კვ.მ.) ქონების მესაკუთრეა სსიპ თვითმმართველი თემი ბოლნისის მუნიციპალიტეტი, რომელსაც უზუფრუქტის ხელშეკრულებით, არსებობის ვადით გადაცემული აქვს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიისთვის , რომელმაც სკოლას გადასცა იჯარით, უსასყიდლოდ, მოიჯარის ლიკვიდაციამდე ვადით. სასწავლო კორპუსში განთავსებულია 15 საკლასო ოთახი, ბიბლიოთეკა, ლაბორატორია, კომპიუტერული კაბინეტი, სამასწავლებლო, სამედიცინო კაბინეტი, მინი სახელოსნო.
ფაქტობრივი მისამართი	ქ. ბოლნისის პეტრე-იბერის N 3

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	N80.06.68.061
კვ.მ.	**3329.00 კვ.მ.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; • იჯარის ხელშეკრულება; • უზუფრუქტის ხელშეკრულება; • საკადასტრო გეგმა.
შეფასება	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების საკლასო ოთახებში განთავსებულია 271 ერთეული ინდივიდუალური მერხი სკამით. თითოეულ კლასში დგას მასწავლებლის მაგიდა , საკლასო დაფა და კარადა. სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის სკოლას აქვს სხვა დამხმარე მასალები: პლაკატები, სქემები, თვალსაჩინოებები. სართულებზე გადაადგილება შესაძლებელია შიდა კიბით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასაქონლო ზედნადებები; • საგადასახადო გადარიცხვის ქვითრები; • მიღება-ჩაბარების აქტები; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს ეზოში კეთილმოწყობილი სპორტული მოედანი. სპორტული აქტივობებისთვის შეძენილი აქვს სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების სპორტული ინვენტარი: ფეხბურთის და კალათბურთის ბურთები, ფრენბურთის ბადეები, ჭადრაკის დაფები, ბაგირები, ტენისის მაგიდები და სხვა. სკოლას არ აქვს დახურული სპორტული დარბაზი. 2018 წლიდან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სსიპ ქალაქ ბოლნისის მე-3 საჯარო სკოლასთან სპორტული დარბაზით სარგებლობის შესახებ. შედგენილი აქვს გრაფიკი , რის მიხედვითაც კვირის დღეებში დღის მეორე ნახევარში, ხოლო შაბათს სრული დღის განმავლობაში სარგებლობს აღნიშნული ფართით. 2022-2023 სასწავლო წელს მესამე საფეხურზე სკოლას არჩეული აქვს სპორტის შემდეგი სახეობები: ფეხბურთი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი. სკოლაში ხშირად ეწყობა როგორც შიდასასკოლო, ისე ამხანაგური სპორტული შეჯიბრებები და მხიარული სტარტები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სპორტული ინვენტარის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები; • იჯარის ხელშეკრულება სსიპ ქალაქ ბოლნისის მე-3 საჯარო სკოლასთან; • ვიზუალური დათვალიერება;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კაბინეტი. შპს ,,ჯეო დეკორისგან " შეძენილი აქვს სასწავლო პროცესისათვის საჭირო კაბინეტ-ლაბორატორიის სრული აღჭურვილობა: ბიოლოგიის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	(ანატომიის) მულაჟები, ფიზიკის მაკეტები, სქემები, თვალსაჩინოებები. გამოკრულია ლაბორატორიით სარგებლობის წესი. იზოლირებულ კარადებში განთავსებულია ფიზიკის, ბიოლოგიის, ქიმიის სწავლებისთვის საჭირო მასალები. რეაქტივებისათვის ლაბორატორიაში დგას სპეციალური კარადა (საცავი). ლაბორატორიის ოთახს აქვს ბუნებრივი განათების და განიავების შესაძლებლობა. დამონტაჟებულია ნიჟარა წყლის სისტემით და გამწოვი კარადით. სკოლამ მიიღო რეკომენდაცია, სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით, ცდების ჩატარებისთვის განკუთვნილი მაგიდის ზედაპირი შეარჩიოს ისე, რომ იყოს წყალგაუმტარი და სადეზინფექციო საშუალებების, მჟავების, ტუტეების, ორგანული გამხსნელების და ზომიერად გაცხელების მიმართ მდგრადი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საგადასახადო დავალება ლაბორატორიის აღჭურვილობის შეძენის შესახებ; • ვიზუალური დათვალიერება;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულება უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის უწყვეტი სისტემით და ბუნებრივ აირზე მომუშავე ცენტრალური გათბობით. სკოლას მიეწოდება სასმელი წყალი, დერეფანში დგას სასმელი წყლის დისპენსერი. ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. ვიზიტის პერიოდში სანიტარული კვანძები სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ეზოში იყო მოწყობილი, მისასვლელი მოკირწყლული ბილიკით. სველ წერტილებს აქვს ბუნებრივი და ხელოვნური განათება; სველი წერტილები განკუთვნილია გოგონებისთვის, ვაჟებისთვის და მომსახურე პერსონალისთვის. მათ შორის ადაპტირებულია ერთი სველი წერტილი. სველ წერტილებში არის ონკანები ნიჟარებით და დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები (მომარაგებულია თხევადი საპნითა და ხელის საშრობი ქაღალდის დისპანსერებით, თავსახურიანი ურნებით).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გათბობის ქვაბის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები; • კომუნალური გადახდის ქვითრები; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების ბიბლიოთეკა შენობის მესამე სართულზეა განთავსებული, ბიბლიოთეკის შესასვლელში გამოკრულია ბიბლიოთეკის სამუშაო საათები, თაროებზე თემატურად დალაგებულია პერიოდიკა, დამხმარე პროფესიული ლიტერატურა, წიგნები, მათ შორის სსგ-ით გათვალისწინებული სახელმძღვანელოების უმეტესობა დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და გატარებულია ბიბლიოთეკის ჟურნალში. ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა წიგნადი ფონდის სრულად დამუშავების პროცესი. <u>გადამოწმებით აღმოჩნდა, რომ სკოლას არ ჰქონდა შეძენილი მე-9, მე-10 კლასების გრიფირებული სახელმძღვანელოები. სკოლამ სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით მიიღო რეკომენდაცია: შეიძინოს და ბიბლიოთეკაში განათავსოს მე-9, მე-10 კლასების გრიფირებული სახელმძღვანელოების მინიმუმ 1</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	<u>ეგზემპლარი ყველა კლასისა და საგნისათვის; წიგნები დაამოწმოს და დაამუშავოს საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;</u> სკოლის წიგნადი ფონდი შეადგენს 2022 ერთეულ წიგნს, სივრცეში განთავსებულია 2 კომპიუტერი და პრინტერი. ბიბლიოთეკაში გამოყოფილია ბიბლიოთეკარის სამუშაო ადგილი, სამკითხველო მაგიდა სკამებით. ბიბლიოთეკას სკოლა პერიოდულად იყენებს როგორც საკონფერენციო სივრცეს. ბიბლიოთეკართან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება, წარმოდგენილია სკოლის დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებული ბიბლიოთეკის დებულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ბიბლიოთეკის დებულება; • ბიბლიოთეკართან დადებული ხელშეკრულება; • წიგნების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები: მიღება-ჩაბარების აქტი , შესყიდვის დოკუმენტები; • ვიზუალური დათვალიერება; • ბიბლიოთეკართან ინტერვიუირება; • მკითხველის სარგებლობის შესაბამისი ჟურნალი;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შექმნილია ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის და დაცულია არსებული საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ადაპტირებული გარემოს უზრუნველსაყოფად, დაწესებულების შესასვლელში და გადასაადგილებელ კიბეებზე დამონტაჟებულია ლიფთონის კონსტრუქციის პანდუსები. ადაპტირებული სველი წერტილი მდებარეობს სკოლის ეზოში. ვიზიტის დროს დაწესებულებას არ ჰყავდა სსსმ მოსწავლე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებიდან აქვს : ➢ სკოლის ვებ–გვერდი: http://ioanebolneli.edu.ge/ ➢ ელექტრონული ფოსტა: ioanebolneli@gmail.com ➢ სკოლის მართვის ელექტრონული სისტემა და ელექტრონული ჟურნალი **School Book** ასრულებს საინფორმაციო–საკომუნიკაციო ფუნქციას. ➢ ინტერნეტ ქსელში ჩართული **ჯამში 21კომპიუტერი,** აქედან 12 კომპიუტერი განთავსებულია ისტ ლაბორატორიაში, დანარჩენი ადმინისტრაციის, ბიბლიოთეკის და სამასწავლებლო ოთახებშია განთავსებული. DSL ინტერნეტ მომსახურებას ახორციელებს კომპანია სს ,,სილქნეტი“. წარმოდგენილია დომენისა და ჰოსტინგის ფლობის დოკუმენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის ვებ- გვერდზე დატანილია შემდეგი ინფორმაცია: განცხადებების დაფა, ინფორმაცია სკოლის დამფუძნებლებისა და მასწავლებლების შესახებ, სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლეთა პროექტების შესახებ ინფორმაცია, სხვადასხვა წრეების შესახებ ინფორმაცია, ღონისძიებათა ამსახველი ფოტო მასალა. ვებ გვერდზე ხდება მნიშვნელოვანი ინფორმაციის განთავსება. მასზე წვდომა აქვს ყველა მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს. სასურველია სკოლამ ვებ- გვერდის ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით, შეავსოს ვებ- გვერდზე განთავსებული ინფორმაცია, მათ შორის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით განათავსოს სკოლის შინაგანაწესი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მომსახურების ხელშეკრულება დომენის და ჰოსტის ფლობის შესახებ; • სკოლის ვებ–გვერდი: http://ioanebolneli.edu.ge/; • ელექტრონული ფოსტა: ioanebolneli@gmail.com ; • ნასყიდობის ხელშეკრულება ელექტრონული ჟურნალის ერთწლიანი ლიცენზიის შესახებ; • კომპიუტერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები; • სასაქონლო ზედნადები; • საგადასახადო დავალების ქვითრები; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მოსწავლეთა და თანამშრომელთა დაცვის მიზნით სკოლაში მუშაობს სახანძრო უსაფრთხოების სისტემა. ამ მიზნით ყველა სართული აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო დეტექტორებითა და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით-ცეცხლმაქრებით, რომლებიც განთავსებულია ევაკუაციის გეგმაში მითითებულ ადგილებზე. სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობით გამოვლენილი ხარვეზებზე სკოლას დაწყებული ჰქონდა რეაგირება: მიწერილობის შესაბამისად მოხსნილი ჰქონდა ყრუ გისოსები პირველ სართულზე, გაწერილი ჰქონდა სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქციები, ჩატარებული ჰქონდა სახანძრო წვრთნები. სკოლამ ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა რეკომენდაციით გააფორმა მომსახურების ხელშეკრულება (#22 14.12.2022) და გადაიხადა მომსახურების საფასური, რის საფუძველზეც ერთი თვის ვადაში დაამონტაჟებენ საევაკუაციო კიბეს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხელშეკრულება შპს ნეოტექსტთან უსაფრთხოების სისტემის დამონტაჟებასთან დაკავშირებით; • სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება; • მომსახურების ხელშეკრულება საევაკუაციო კიბის მონტაჟის შესახებ; • მიღება-ჩაბარების აქტი; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში ორივე სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სამედიცინო კაბინეტი მოწყობილია შენობის პირველ სართულზე. ოთახში არის სველი წერტილი ნიჟარით, ბუნებრივი განათების და განიავების შესაძლებლობა. სკოლის ექიმთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, სკოლის ექიმი არის უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პირი, აქვს პედიატრად მუშაობის სტაჟი. ვიზიტის პერიოდში ექიმი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე არ იმყოფებოდა სკოლაში და მის მოვალეობას ასრულებდა სკოლის ექთანი. ადგილზე დათვალიერებისას გადამოწმდა მედიკამენტების შენახვის პირობები და მათი ვარგისიანობა. მედიკამენტების გაცემა აღირიცხება ექიმის მიერ სპეციალურ ჟურნალში, გამოკრულია პირველადი სამედიცინო დახმარების მექანიზმები. <u>დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ ბრძანებით განსაზღვრულ ნორმებს არ შეესაბამება სამედიცინო კაბინეტის ფართობი (8,7 კვ.მ.); კაბინეტი არ იყო სრულად აღჭურვილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრების 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით განსაზღვრული ინვენტარით,</u> რასთან დაკავშირებითაც ექსპერტებმა რეკომენდაცია მისცეს სკოლის წარმომადგენლებს. სკოლამ ვიზიტის მსვლელობისას დაიწყო ზრუნვა გამოვლენილი ხარვეზის მოსაგვარებლად. შეიძინეს საკაცე, სამედიცინო შირმა, დადეს ხელშეკრულება მაცივარი-საყინულის შესაძენად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ხელშეკრულება ექიმთან; • სამედიცინო მედიკამენტების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (შპს „ავერსი-ფარმა“); • სანოტარო აქტი შპს „ემტექნიკსთან“.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში დგება მასწავლებელთა მორიგეობის გრაფიკი. სკოლას შემუშავებული და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შესათანხმებლად გადაგზავნილი აქვს უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის დებულება/ინსტრუქცია, რომელიც შედგენილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვარის №06/ნ ბრძანების საფუძველზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის დებულება/ინსტრუქცია; • სკოლის დირექტორის წერილი.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	<u>ვიზიტის დროს სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია, სკოლის გარე პერიმეტრი და ერთი კიბის უჯრედი, რომელიც არ კონტროლდებოდა გახადა ხილვადი. ასევე მოხდა კამერების დემონტაჟი ლაბორატორიებისა და ბიბლიოთეკის ოთახიდან.</u> სკოლის გარე პერიმეტრს აკონტროლებს 4 ერთეული, ხოლო შიდა პერიმეტრს 6 ერთეული ვიდეო სამეთვალყურეო კამერა, რომლებიც შეესაბამება ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხელშეკრულება; • ანგარიშფაქტურა; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება და შინაგანაწესი, სტრუქტურული ერთეულების დებულებები, საქმისწარმოების წესი. დოკუმენტებში გაწერილია გადაწყვეტილების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• წესდება; • შინაგანაწესი; • საქმისწარმოების წესი.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შემუშავებულია და დირექტორის მიერ დამტკიცებულია განვითარების გრძელვადიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. გრძელვადიან გეგმაში განსაზღვრულია პრიორიტეტები: სწავლა-სწავლება; ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარება; მართვის პროცესი; მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; პარტნიორული ურთიერთობები. თითოეული პრიორიტეტის ფარგლებში დასახულია მისაღწევი მიზნები, შესრულების პერიოდი და პასუხისმგებელი პირები. ერთწლიან გეგმაში დაკონკრეტებულია აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და შესრულების ვადები. საქმიანობის ეფექტიანობისა და შესაძლებლობების შესაფასებლად სკოლა იყენებს SWOT მეთოდს, სადაც მოცემულია სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები, რისკები და ჩასატარებელი ღონისძიებები. გეგმები გამომდინარეობს მისიიდან და მორგებულია სკოლის საჭიროებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2022-2023) • ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა (2017-2023)
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი, რომლის მიხედვითაც წარმოებს შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვა, ბრძანებების რეგისტრაცია და აღრიცხვა, ხელშეკრულებების რეგისტრაცია და აღრიცხვა, საარქივო დოკუმენტების აღრიცხვა და შენახვა. სკოლას ჰყავს საქმეთა მმართველი, რომლის მოვალეობები გაწერილია სკოლის დებულებაში. ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცნენ საქმისწარმოების ჟურნალებს, ,,შემთხვევითობის პრინციპით“ შეარჩიეს და შეაფასეს ისინი. სკოლაში საქმისწარმოება დადგენილი წესის მიხედვით მიმდინარეობს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი; • ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი; • შემოსული კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალი; • გასული კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალი; • ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რჩევები:	სასურველია სკოლამ ვებ- გვერდის ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით, შეავსოს ვებ- გვერდზე განთავსებული ინფორმაცია, მათ შორის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით განათავსოს სკოლის შინაგანაწესი. სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობით გამოვლენილი ხარვეზებზე სკოლამ მოახდინოს დროული რეაგირება.
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოანე ბოლნელის სახელობის სკოლას სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის შესაბამისი აკადემიურ-ტექნიკური პერსონალი ჰყავს დასაქმებული. მართვის საინფორმაციო სისტემის, ESchool-ის ბაზის, მიხედვით სკოლაში დასაქმებულია 36 თანამშრომელი. მათ შორის: დირექცია (3 საშტატო ერთეული): დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი. ადმინისტრაცია (5 საშტატო ერთეული): ხარისხის მართვის მენეჯერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერი, ექიმი, ბიბლიოთეკარი, საქმისმწარმოებელი, მასწავლებელი-28. დამხმარე პერსონალი (2 საშტატო ერთეული): დამლაგებელი, დარაჯი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის დებულებაში გაწერილია ყველა სტრუქტურული ერთეულის ფუნქცია-მოვალეობები. თითოეულ თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მართვის საინფორმაციო სისტემის ESchool-ის ბაზის მონაცემები; • სკოლის სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების დებულებები; • საშტატო განრიგი; • თანამშრომელთა ხელშეკრულებები; • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან; • ინტერვიუ თანამშრომლებთან.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	**28**
მასწავლებლობის მაძიებელი	-
მოწვეული მასწავლებელი	-
დამატებითი სავალდებულო საგნის მაწავლებელი	**2**
უსტატუსო მასწავლებელი პირობიანი ხელშეკრულებით	**6**
უფროსი მასწავლებელი	**16**
წამყვანი მასწავლებელი	**4**
მენტორის სტატუსი	-

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლები შერჩეულნი არიან "ზოგადი განათლების შესახებ" კანონის და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლაში დასაქმებული 28 მასწავლებლისგან - 16 უფროსი სტატუსისაა, 4 წამყვანი მასწავლებლის სტატუსის, 2 დამატებითი სავალდებულო საგნის მასწავლებელია და 6 უსტატუსო (პირობიანი ხელშეკრულებით) მასწავლებელია, მათ შორის 1 სპეცმასწავლებელი. სკოლის მასწავლებლების პირად საქმეებში სრულყოფილადაა წარმოდგენილი კვალიფიკაციისა და სტატუსთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დიპლომი, სერთიფიკატი, მასწავლებლის CV, ნასამართლეობის შესახებ ინფორმაციის დამადასტურებელი და სქესობრივი ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართ დანაშაულის ჩადენისათვის დამადასტურებელი ცნობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მართვის საინფორმაციო სისტემის ESchool-ის ბაზის მონაცემები; • პირადი საქმეები; • თანამშრომელთა ხელშეკრულებები; • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან; • ინტერვიუ თანამშრომლებთან.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას შინაგანაწესში გაწერილი აქვს თანამშრომელთა სამუშაოზე მიღების წესი, სადაც გაწერილია მიღება-გათავისუფლების პროცედურები და დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომელიც კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს. აქვეა ასახული თანამშრომელთა მუშაობის დრო, პირობა, შრომითი ურთიერთობების შეჩერება და შეწყვეტა, შვებულების მიცემა, მივლინება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	(შვებულების მიცემის წესი, სამსახურიდან გათავისუფლების წესი, სამსახურში გამოუცხადებლობის წესი და ა.შ.) როგორც შესწავლილი დოკუმენტაციით ირკვევა, სკოლა სრულად ეყრდნობა კანონმდებლობას და შინაგანაწესის რეგულაციებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • მასწავლებელთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები; • გასაუბრება სკოლის თანამშრომლებთან.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ყველა თანამშრომელთან სკოლას გაფორმებული აქვს შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს მხარეთა შორის სამართლებრივ ურთიერთობებს. შრომითი ხელშეკრულებით განისაზღვრება: ხელშეკრულების საგანი, შრომითი ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები, შვებულების მიცემის წესი, სამუშაო ადგილი, სამუშაო დრო, დასვენების დრო, შრომის ანაზღაურების ოდენობა და პირობები, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება, მხარეთა პასუხისმგებლობის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, შრომითი ურთიერთობების შეწყვეტა და სხვა პირობები. მასწავლებლების ხელშეკრულებების ანალიზის პროცესში გამოიკვეთა, რომ უსტატუსო მასწავლებლებთან პირობიან ხელშეკრულებაში არასწორად იყო მითითებული სამართლებრივი საფუძველი. სკოლამ გაითვალისწინა მიცემული რეკომენდაციები და ვიზიტის მსვლელობისას შეიტანა ცვლილებები ხელშეკრულებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებლების ხელშეკრულებები; • ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სხვა თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშესაწყობად სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა ჯგუფის დებულება და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა სკოლაში დაწყებულია 2020-2021 სასწავლო წლიდან. მასწავლებლები საგნების მიხედვით გაწევრიანებული არიან სხვადასხვა ასოციაციებსა და პროფესიულ ჯგუფებში, სადაც მუდმივად გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებს, სკოლა ასევე თანამშრომლობს ქი ქოსთალინგთან და ესწრება მის მიერ შემოთავაზებულ მრავალფეროვან ტრენინგებს, სემინარებს. პედაგოგები ასევე გადიან ტრენინგებს სტატუსის ფარგლებში, რომელსაც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი ახორციელებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება; • ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები; • მასწავლებლების პორტფოლიოები. • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან; • ინტერვიუ პედაგოგებთან; • ინტერვიუ მოსწავლეებთან.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შექმნილია დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთმხარდაჭერის ატმოსფერო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა და სკოლის თანამშრომლების თვითრეალიზაციას. პედაგოგები ინტერვიუირებისას აღნიშნავდნენ, რომ სკოლაში არსებული ურთიერთობები მხარდაჭერასა და დახმარებაზეა ორიენტირებული. სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს საშუალება აქვს გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები. სკოლაში ყველა პრობლემის გადაწყვეტა ხდება გუნდურობის პრინციპით. დირექტორი და სკოლის ადმინისტრაცია, კათედრებთან ერთად, ხელს უწყობენ იმ საკითხების განხილვას, რომლებიც ეხება მოსწავლეთა სწავლასა და კეთილდღეობას – წარმატებული საგანმანათლებლო პრაქტიკის შესახებ გამოცდილების გაზიარებით, პროფესიული განვითარებისათვის რეგულარული შესაძლებლობების უზრუნველყოფით, კათედრის შიგნით და კათედრებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობით და ა.შ. სასკოლო გარემო ხელს უწყობს უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სტრუქტურული ერთეულების დებულება; • კათედრის დებულება; • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	**☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ სტანდარტი დარღვეულია**

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

(შევსების ადგილი) ქ. თბილისი
თარიღი 10.01.2023
გვერდების რაოდენობა 52 გვერდი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.